სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

მაისი № 9

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-28

individualuri aqtebi / **Individual acts** ----------29-38

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 39-48

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** -------- 49-50

auqcioni / **Auction** ----------51

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ----- 52-56

statistikuri informacia / **Statistical information** ---------- 10

gadasaxadebi #9, 2018

GADASAKHADEBI #9, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 202-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 ნაწილი:

„4^1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით. აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებზე. თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას:

ა) პირს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთანავე, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან, ხოლო აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;

ბ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.“.

მუხლი 2. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 7 დღის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 4 მაისი 2018 წ.

N2327-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 20) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ლ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ[1]) ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი:

ლ[1]. ა) მომხმარებელი, რომელიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების ან გადაცემის ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელიდან, აღნიშნულ ქსელზე (ქსელებზე) მდებარე მიწოდების წერტილებიდან ჯამურად, კალენდარული წლის შედეგებით, საშუალოდ თვიურად მოიხმარს არანაკლებ 15 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას და აკმაყოფილებს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს;

ლ[1]. ბ) ამ მუხლის „ლ[1]. ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომხმარებლის გარდა, ნებისმიერი სხვა მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს და ნებაყოფლობით არის რეგისტრირებული საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი.

შენიშვნა:

1. პირის პირდაპირი მომხმარებლის სტატუსით რეგისტრაციას აქვს შეუქცევი ხასიათი. შესაბამისად, პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრირებულ პირს უფლება არა აქვს, მოითხოვოს საცალო მომხმარებლად რეგისტრაცია.

2. პირდაპირი მომხმარებლის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ობიექტზე (ობიექტებზე) ან მის (მათ) ნაწილზე (ნაწილებზე) საკუთრების/მფლობელობის უფლების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ახალი მომხმარებელი არის პირდაპირი მომხმარებელი, მიუხედავად ქსელთან მიერთების სქემის ცვლილებისა;“;

ბ) „ჰ[6]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[6]) საცალო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც არ არის ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი, ხოლო ბუნებრივ გაზს იღებს განაწილების ლიცენზიატის ქსელიდან, მოიხმარს მას მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ არის ბუნებრივი გაზის პირდაპირი მომხმარებელი;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) „ჰ[28]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[29]“–„ჰ[31]“ ქვეპუნქტები:

„ჰ[29]) „მომსახურების ხარისხის წესები“ – კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებისათვის, წყალმომარაგების ლიცენზიატებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებისათვის (რომლებიც ბუნებრივ გაზს აწვდიან საცალო მომხმარებელს) ადგენს მომარაგების წყვეტის დროული აღმოფხვრისა და შემცირების, მომარაგების წყვეტის შესახებ მომხმარებლის ინფორმირებისა და მომხმარებლის განცხადებაზე რეაგირების მომსახურების სტანდარტების მინიმალურ დონეს, ამ მომსახურების პროცესის რეალურ დროში კონტროლის პირობებს, სტანდარტების შესრულების სამიზნე მაჩვენებლებს და მომხმარებლისათვის კომპენსაციის გაცემის წესს;

ჰ[30]) „ინვესტიციების შეფასების წესი“ – კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს სატარიფო რეგულირებისადმი დაქვემდებარებული ლიცენზიატების მიერ განსახორციელებელი საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი პროექტების კომისიისათვის წარდგენის, კომისიის მიერ მათი შეთანხმების, აგრეთვე შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმებში ან/და პროექტებში ცვლილების შეტანის და მათი განხორციელების შესახებ ანგარიშგების წესსა და პირობებს;

ჰ[31]) „ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესი“ – კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს ენერგეტიკულ სექტორში რეგულირებისადმი დაქვემდებარებული საწარმოების მიერ კომისიისათვის წარსადგენ ანგარიშგების ფორმებსა და მონაცემებს, მათი წარდგენის საშუალებებსა და პერიოდულობას, ანგარიშგების კონფიდენციალურობის დაცვისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, აგრეთვე კომისიის მიერ ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნების პერიოდულობას, წესსა და პირობებს.“.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას. კომისიის დადგენილებით მტკიცდება:

ა) კომისიის დებულება;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების დებულება;

გ) სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები;

დ) რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი;

ე) ლიცენზირების წესები;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) „მიწოდებისა და მოხმარების წესები“;

ზ) ტარიფების მეთოდოლოგია;

თ) ტარიფები (მათ შორის, ზღვრული);

ი) ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი;

კ) ქსელის წესები;

ლ) „მომსახურების ხარისხის წესები“;

მ) „ინვესტიციების შეფასების წესი“;

ნ) „ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესი“.“.

3. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია ვალდებულია ყოველი წლის ბოლომდე დაამტკიცოს თავისი მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის, კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ხელფასები და შემოსავლები. კომისია ყოველი წლის 15 სექტემბრისათვისლიცენზიატებისაგან, იმპორტიორებისა და მიმწოდებლებისაგან მიღებული მომავალი წლის საქმიანობის მოცულობის პროგნოზის საფუძველზე ადგენს რეგულირების საფასურს, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის მომავალი საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი ხარჯების დაფარვას. კომისია ვალდებულია გამოაქვეყნოს თავისი ბიუჯეტი.“.

4. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 21. **კომისიის ყოველწლიური ანგარიში**

კომისია ყოველი წლის 1 მაისამდე ადგენს თავისი საქმიანობის შესახებ გასული წლის ანგარიშს, რომელსაც უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და სამინისტროს. კომისიის ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.“.

5. 26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დაუშვებელია ერთ ტერიტორიულ ერთეულში (ქალაქი, დაბა, სოფელი) ორი ან ორზე მეტი განაწილების ლიცენზიის ან წყალმომარაგების ლიცენზიის გაცემა.“.

6. 39-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საქმიანობის დაწყების ან შეწყვეტის შემთხვევაში არანაკლებ 5 დღით ადრე აცნობოს კომისიას ამის შესახებ.“.

7. 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„**მუხლი** 45. **ტარიფის ამოქმედება**

ტარიფს კომისია ამტკიცებს კომისიაში სატარიფო განაცხადის შეტანიდან 180 დღის განმავლობაში, თუ იგი აკმაყოფილებს სატარიფო განაცხადის მიმართ კომისიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.“.

8. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 49^{11} მუხლი:

„**მუხლი** 49^{11}. **ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის დროებითი (გარდამავალი) წესი**

1. მომხმარებელი, რომელიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელიდან და რომელმაც აღნიშნულ ქსელზე (ქსელებზე) მდებარე მიწოდების წერტილებიდან ჯამურად, 2018 წლის პირველი სამი თვის შედეგებით, მოიხმარა თვეში საშუალოდ არანაკლებ 15 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 2018 წლის 1 მაისიდან არის ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი.

2. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ბაზრის ოპერატორს, გადამცემი სისტემის ოპერატორსა და შესაბამის მომხმარებლებს.“.

მუხლი 2

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ:

ა) 2019 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს „მომსახურების ხარისხის წესების“ დამტკიცება;

ბ) 2019 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დამტკიცება:

ბ.ა) „ინვესტიციების შეფასების წესი“;

ბ.ბ) „ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესი“;

გ) 2018 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2018 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (აქტების) ამ კანონთან შესაბამისობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

1. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 **მაისი** 2018 **წ.**

N2326-IIს

სტატისტიკური ინფორმაცია

ბიზნეს რეგისტრი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

(1 **მარტი** 2018)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ	686552	177452	100
კომერციული იურიდიული პირები	231732	72995	33.7
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2755	266	0.4
კომანდიტური საზოგადოება	185	26	0.0
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	221242	71528	32.2
სააქციო საზოგადოება	2452	872	0.4
კოოპერატივი	5098	303	0.7
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	25763	3583	3.8
ინდივიდუალური მეწარმე	419285	97151	61.1
სხვა	3959	1056	0.6
საჯარო სამართლის სუბიექტები	5813	2667	0.8

WWW.geostat.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №201

2018 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ხაზინის განკარგულებში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/06/2017, 190020110.10.003.020010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თითოეულ კომერციულ ბანკში განსათავსებელი დეპოზიტის თანხის დასაშვები მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება აუქციონის ჩატარების დღისათვის კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 7%-ის ოდენობით, „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანების შესაბამისად გამოქვეყნებული უახლესი კვარტალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №202

2018 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის („იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“) მე-18 მუხლის:

1. „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;“.

3. „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №203

2018 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის დანართი №1-ის №1 ინდუსტრიას (საკვები პროდუქტების წარმოება) დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.11 პოზიცია (ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები):

„1.11. ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები:
ფრინველის ნაკლავის ნაწილები, ძვლებგამოცლილი: (0207 14 10)“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №172

2018 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი

სიგარაბარის მოწყობის სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს სიგარაბარის მოწყობის სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული დანართის სახით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სიგარაბარის მოწყობის სანებართვო მოწმობა

№ 00–0/0000

_____ _____

(ნებართვის მფლობელის დასახელება / სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

_____

(ობიექტის მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოაწყოს სიგარაბარი.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „ —” ———————— ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20 — წლის „ —” ———————— № ..... ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

ნებართვის გამცემი უფლებამოსილი პირი ----------

(სახელი, გვარი)

ხელმოწერა ბ.ა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №173

2018 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. **81-ე მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონით ან „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.“;

ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^4, 66^4, 91^2, 91^3, 99-ე , 1271 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1, 153-ე , 153^1, 153^5 153^7, 153^8, 154^1, 154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი-მე-10 და მე-13 - მე-14 ნაწილებით, 155^5, 155^6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 157-ე , 157^1– 157^4,158-ე , 158^1, 159^4, 163-ე , 164-ე , 164^4, 165-ე–165^3, 165^{10}, 171^5, 178-ე, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1, 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე , 165-ე და 165^{10} მუხლებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით.“;

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი - მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 191^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი - მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 191^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/230

2018 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში" ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში" (www.matsne.gov.ge, №117, 31/08/2006 წ., სარეგისტრაციო კოდი: 300.300.000.22.025.009.162) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ნებადართულია მხოლოდ იმ საწარმოებს შორის, რომლებიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ წესების შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან კვალიფიციურ საწარმოდ. ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება ასევე აქვს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში.".

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) ამ წესების შესაბამისად, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი:

გ.ა) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში;

გ.ბ) გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში.“;

3. **მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით**:

„4^1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.“.

4. **მე-3 მუხლის მე-8^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 8^2 პუნქტი შემდეგი რედაქციით**:

„8^2. ამ მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შეჰყავს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში 2018 წლის 1 მაისიდან.“.

5. **მე-13 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„9. კვალიფიციური საწარმოები – განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდიან მათ მიერ საანგარიშო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობასა და პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას. ამ პუნქტის მიზნებისათვის, პირდაპირ მომხმარებელს, მხოლოდ ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში, ასევე წარმოადგენს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებელი, რომელიც საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. მე-13 **მუხლის** მე-9 **პუნქტის შემდეგ დაემატოს** მე-10 **და** მე-11 **პუნქტები შემდეგი რედაქციით**:

„10. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში 23-ე მუხლის 3^1 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ გადამცემ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.

11. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში 23-ე მუხლის 3^1 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგის შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობასა და აღნიშნული მიზნებისათვის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.“.

7. მე-14 **მუხლის** მე-3 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი მე-13 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოებზე საბალანსო ელექტროენერგიას ყიდის საანგარიშო პერიოდში ამ მუხლის პირველი, 1^1, 1^2 და 1^4 პუნქტების საფუძველზე შესყიდული და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასით, რომლის ფორმირებაშიც არ მონაწილეობს ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა და ღირებულება.“.

8. მე-14 **მუხლის** 3^1 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3^1. ამ წესების მე-13 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოებზე გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ფასის ფორმირებაში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შედეგად (ელექტროენერგიის იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულებით გაყიდული ელექტროენერგიის გარდა) წარმოქმნილი საკურსო სხვაობის შემოსავალს ან/და ხარჯს, რომელიც საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოხდა სხვაობის ფაქტობრივად აღიარება.“.

9. 16^1 **მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ტ) გადამცემ ქსელში დანაკარგების შესყიდვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ელექტროენერგიით (სიმძლავრის) საბითუმო ვაჭრობაში და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან შეისყიდოს გადამცემ ქსელში დანაკარგის შესატყვისი საბალანსო ელექტროენერგია;

უ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით შეისყიდოს ელექტროენერგია როგორც პირდაპირი ხელშეკრულებით, ისე პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.“;

10. 23-ე **მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, მყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ (გარდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა და ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა) შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულებით, მათ შორის, პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით შესყიდული ელექტროენერგია განისაზღვრება ელექტროენერგიის შესაბამის მიწოდების პუნქტებში დაფიქსირებული მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობით, ხოლო გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით, ფაქტობრივი საშუალო დანაკარგის შესატყვის ელექტროენერგიის რაოდენობას შეისყიდის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.“;

11. 23-ე **მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 3^1 **პუნქტი**:

„3^1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობები გამოითვლება შესაბამის საანგარიშო პერიოდში მყიდველი კვალიფიციური საწარმოების (განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები) ფაქტიურ ჯამურ მოხმარებასა და ელექტროენერგიის ტრანზიტ(ებ)ის მოცულობებზე ფაქტობრივი საშუალო დანაკარგის შესატყვისი ელექტროენერგიის პროპორციული განაწილებით.“.

12. 23-ე **მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 4^1 **პუნქტი**:

„4^1. გადამცემ ქსელში დანაკარგების შესატყვისი ელექტროენერგია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას და მისი შესყიდვა ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.“;

13. 23-ე **მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. ზენორმატიული დანაკარგის რაოდენობრივი მაჩვენებელი კონკრეტული კალენდარული წლისათვის წარმოადგენს დადებით სხვაობას გადამცემ ქსელში დანაკარგების რაოდენობასა და ნორმატიული დანაკარგის პროცენტული მაჩვენებლის შესატყვისი ელექტროენერგიის რაოდენობას შორის.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

14. 41-ე **მუხლის** 6^2 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„6^2. 2017-2018 წლებში ამ მუხლის მე-6, 6^1 და 6^3 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, შესაბამის ექსპორტის განხორციელების საანგარიშო თვის დაწყებამდე არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღით ადრე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეატყობინოს წინასწარი საორიენტაციო ინფორმაცია ექსპორტის განხორციელების კონკრეტული საანგარიშო თვის (თვეების), საექსპორტო სიმძლავრისა და ექსპორტის ხელშეკრულების მოსალოდნელი კონტრაჰენტის თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი საორიენტაციო ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-6, 6^1 და 6^3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის დაზუსტებულ მომართვამდე შეამცირებს საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის შეტყობინებაში ასახული ელექტროენერგიის მოცულობით და არ განახორციელებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის შეტყობინებაში ასახულ სიმძლავრეზე გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების შესაბამის პროცედურებს.“.

15. 41-ე **მუხლის** 6^2 **პუნქტის შემდეგ დაემატოს** 6^3 **პუნქტი შემდეგი რედაქციით**:

„6^3. საქართველოში ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადი, საიმედო და სტაბილური ფუნქციონირების, ასევე ქვეყნის შიდა მიწოდება-მოხმარებაში ელეტროენერგიის უკმარისობის (დეფიციტის) დაფარვის მიზნით, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ თურქეთის რესპუბლიკიდან 2018 წლის მარტის თვეში მიღებული ელექტროენერგიის 2018 წლის ივლისის თვეში დაბრუნების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული საექსპორტო მოცულობა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორზე ნაწილდება ამ წესების IV^1 თავით გათვალისწინებული პროცედურებისა და საექსპორტო მოცულობის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში გათვალისწინების გარეშე. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, შესაბამის საანგარიშო თვეში თურქეთის რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ექსპორტის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე სარეგისტრაციოდ წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ წესების მე-2 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე, ასევე ელექტროენერგიის ექსპორტის საპროგნოზო საათობრივი გრაფიკები.“.

მუხლი 2

გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის საბითუმო ვაჭრობის მონაწილედ რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია, ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს ელექტრონერეგეტიკული ბაზრის ოპერატორს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-3 მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-14, მე-15 პუნქტების და მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან.

მუხლი 4

ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები და მე-2 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №64/ნ

2018 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებაში (სსმ III, 01.10.2010 წ., №126, მუხ. 1839) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით ცენტრში წარმოდგენილ განაცხადს უნდა ერთოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.“;

2. **მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 ქვეპუნქტები**:

„2^1. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე ცენტრში წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს ცენტრის მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასკვნა უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ.

2^2. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე ცენტრში წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების დასკვნა მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების შესაბამისობის შესახებ.“;

3. **მე-7 მუხლის**:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის მე-6 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შედგენის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული საგნების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან. დასკვნაში მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები.

4. ამ წესის მე-6 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის საფუძველზე ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე ცენტრში წარდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისათვის განსაზღვრულ ვადაში, ცენტრში შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემი დაწესებულების მიერ დადასტურებული არ არის უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, გამოიცემა პირობითი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება ბათილია გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან.“;

გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, ამ წესის მე-6 მუხლის 2^2 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შედგენის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.“;

დ) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. ამ წესის მე-6 მუხლის 2^2 პუნქტით განსაზღვრული დასკვნის გათვალისწინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული/უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე. ცენტრი აღიარებს კრედიტების იმ რაოდენობას, რაც გათვალისწინებულია მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების თავსებადი სასწავლო კურსისათვის. იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული/უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე ცენტრში წარდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისათვის განსაზღვრულ ვადაში, ცენტრში შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემი დაწესებულების მიერ დადასტურებული არ არის უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, გამოიცემა პირობითი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება ბათილია გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №65/ნ

2018 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 110916018, 21.09.2011წ., სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016191) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების:

1. **მე-5 მუხლის 2^2 პუნქტის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, სტუდენტის სტატუსი, სტუდენტის თავდაპირველი ჩარიცხვის წელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის საფასური, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რეჟიმი (აკრედიტებული/არააკრედიტებული) პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ცალ-ცალკე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიზნით სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გააჩნია ხედვა რეესტრის მონაცემებზე (ინფორმაციის რედაქტირების ფუნქციის გარეშე);";

ბ) „ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის 2005 წლის 10 იანვრიდან გამოცემული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტის ოდენობისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიწოდება.".

მუხლი 2

ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №79/04

2018 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 ოქტომბრის №266 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 ოქტომბრის №266 ბრძანებაში (სსმ, №105, 22/10/2002) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სალიკვიდაციო ანგარიშიდან ანაზღაურდება ლიკვიდაციის პროცესის/გაკოტრების საქმის წარმოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც პირველ რიგში დაკმაყოფილდება ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. შესაბამისი რესურსის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლოა დაიფაროს ეროვნული ბანკის მიერ. ეროვნული ბანკის მიერ გაწეული მსგავსი ადმინისტრაციული ხარჯები პირველ რიგში, დაკმაყოფილდება ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

individualuri aqtebi

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №12

2018 წლის 16 იანვარი, ქ. თბილისი

ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე

მუხლი 1. „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N916 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-13 მუხლის მე-12 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხა“ დანართთან ერთად (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 მარტის N101 ბრძანება.

მუხლი 2. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად საგადასახადო ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ამ ბრძანებით განისაზღვრება ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების ზოგადი პროცედურები და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხა.

2. ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების მიზნით გადასახადის გადამხდელის (შემდგომში - „გადამხდელი“) უფლებამოსილია მიმართოს საგადასახადო ორგანოს (შემდგომში - „საგადასახადო ორგანო“) და წარადგინოს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ (შემდგომში - „მოთხოვნა“), რომელსაც უნდა დაერთოს ამ პროცედურებით განსაზღვრული დოკუმენტები.

3. „მოთხოვნა“ ფორმდება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის VI თავის მე-18 მუხლის NI-13 დანართის შესაბამისად.

4. გადამხდელი უფლებამოსილია „მოთხოვნა“, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად, ასევე დამატებით დასართავი დოკუმენტები საგადასახადო ორგანოში წარადგინოს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

მუხლი 2. „მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხა

1. დღგ-ის გადამხდელის მიერ საქონლის ექსპორტის განხორციელების დროს წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი თანხის შემთხვევაში წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილ უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები.

2. დღგ-ის გადამხდელის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის შესაბამისად ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების იმპორტისას, შეძენისას და ასევე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-4 ჯგუფით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების წარმოებისათვის შეძენილ (მათ შორის იმპორტირებულ) საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის ჩათვლის შედეგად წარმოქმნილი ზედმეტობის შემთხვევაში წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილ უნდა იქნეს, თუ რა სახის ძირითადი საშუალებების იმპორტი/შეძენა განხორციელდა, რა სახის ძირითადი საშუალებების წარმოება ხდება, სად გამოიყენება (მათ შორის რა მიზნით) ან იქნება გამოყენებული ძირითადი საშუალებები (პასუხისმგებლობა „მოთხოვნით“ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე ეკისრება გადამხდელს).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. შეცდომით გადახდილი გადასახადით წარმოქმნილი ზედმეტობის შემთხვევაში წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილი უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები.

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოქმნილი ზედმეტობისას, წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილი უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები და მას უნდა დაერთოს საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (პასუხისმგებლობა დაქირავებულისთვის გაცემული და დაკავებული თანხის სისწორეზე ეკისრება საგადასახადო აგენტს).

5. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საგადასახადო აგენტის მიერ გაცემული ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, პირადი ნომრის, საანგარიშო წლისთვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგადასახადო აგენტი ლიკვიდირებულია, რაც დასტურდება საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით).

6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წარმოქმნილი ზედმეტობისას, წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილი უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები (პასუხისმგებლობა საანგარიშო პერიოდში გაცემული და დაკავებული გადასახადის სისწორეზე ეკისრება საგადასახადო აგენტს).

7. „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N633 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის შესაბამისად საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტისათვის ზედმეტად დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების მიზნით არარეზიდენტის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N633 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა N2 (შემდგომში – ფორმა N2), რომელიც ამავე დროს არის მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე.

8. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილი უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

9. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარდგენილ „მოთხოვნაში“, აღწერილი უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები და უნდა დაერთოს შესაბამისი განმარტება იმპორტირებული აქციზური საქონლის მოძრაობისა და რელიზაციის შესახებ (პასუხისმგებლობა იმპორტირებული საქონლის დანიშნულებით გამოყენებაზე ეკისრება გადამხდელს).

10. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოქმნილი ზედმეტობისას თანხის დაბრუნების დროს წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილი უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები და მითითებული უნდა იქნეს მონაცემები მსუბუქი ავტომობილის იმპორტის და ექსპორტის დამადასტურებელი საბაჟო დეკლარაციებიდან (დეკლარაციის ნომერი, თარიღი, შასს-ის ნომერი, დეკლარაციით დაანგარიშებული აქციზის თანხა).

11. ამ მუხლის პირველი - მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა შემთხვევებში წარმოქმნილი ზედმეტობისას, წარდგენილ „მოთხოვნაში“ აღწერილ უნდა იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის გამომწვევი მიზეზები.

12. ამ მუხლის პირველი - მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადამხდელის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ასახული უნდა იყოს დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციების ან იმ ოპერაციების დროს, რომლებიც დღგ-ის მიზნებისათვის არ ითვლება დღგ-ის დასაბეგრ ოპერაციად, გათავისუფლებული საქმიანობის დეტალური აღწერა.

13. თუ „მოთხოვნა“ ეფუძნება ზედმეტობის წარმოშობის რეალობის დადგენის მიზნით კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას, მაშინ „მოთხოვნას“ უნდა დაერთოს მხოლოდ გადაწყვეტილება.

მუხლი 3. „მოთხოვნის“ წარდგენა

1. „მოთხოვნის“ მატერიალური ფორმით წარდგენა შესაძლებელია უშუალოდ საგადასახადოორგანოში ჩაბარებით ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით, ხოლო „მოთხოვნის“ ელექტრონული ფორმით წარდგენა შესაძლებელია ვებ-გვერდის www.rs.ge- ის მეშვეობით. ყველა შემთხვევაში ამ წესით განსაზღვრული ვადები აითვლება საგადასახადო ორგანოში „მოთხოვნის“ რეგისტრაციის მომდევნო დღიდან.

2. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დადგენილი ვადის დარღვევა მიიჩნიოს „მოთხოვნის“ დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და გაასაჩივროს იგი საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. თუ საგადასახადო ორგანოს მიერ გადაწყვეტილება გამოცემული იქნება დადგენილი ვადის დარღვევით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება პირისათვის მისი ჩაბარების მომდევნო დღიდან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტისათვის თანხის დაბრუნების მიზნით მოთხოვნის განხილვის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო ხელმძღვანელობს „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N633 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ შესამოწმებელი დოკუმენტაცია „მოთხოვნის“ წარმოდგენისას

1. საგადასახადო ორგანოს მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხაზე „მოთხოვნის“ რეგისტრაციის მომდევნო დღიდან 11 კალენდარული დღის ვადაში: მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღიდან წინა პერიოდზე, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, (გარდა იმ პერიოდისა, რომელიც უკვე შემოწმებულია შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ან/და შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისმიერ ან ის პერიოდი, რომელიც უკვე გადამოწმებულია ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებისას) მოწმდება:

ა) „მოთხოვნის“ შევსების და მასზე თანდართული დოკუმენტების სისრულე;

ბ) ზედმეტად გადახდილი გადასახადის წარმოშობის თარიღი, დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციების და ანგარიშგების ფორმების პირადი აღრიცხვის ბარათზე სრულად ასახვა.

გ) საგადასახადო დეკლარაციაში მითითებული ჩასათვლელი თანხის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით/საბაჟო დეკლარაციებით გათვალისწინებული ჩასათვლელი თანხების ჯამთან თანხვედრის მდგომარეობა შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში არსებულ შესაბამისი რეპორტის - „დღგ-ს დეკლარაციის მონაცემების შედარება ანგარიშ-ფაქტურებით ჩასათვლელ თანხებთან და საბაჟო ინფორმაციებთან“ - მიხედვით.

დ) ქონებაზე (მათ შორის მიწაზე) საგადასახადო ვალდებულებების სიზუსტე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით.

ე) საანგარიშო პერიოდში განხორციელებული განაცემების შესახებ ინფორმაციის თანხვედრა საშემოსავლო და მოგების გადასახადების დეკლარაციების შესაბამის მაჩვენებლებთან.

ვ) მოგების/საშემოსავლო გადასახადების დეკლარაციების მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწყისი და საბოლოო ნაშთები.

ზ) ზედნადებების, ანგარიშ-ფაქტურების და სალარო აპარატის მონაცემების შესაბამისი პერიოდის საგადასახადო დეკლარაციაში ასახვის შესაბამისობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტისათვის საქართველოში ზედმეტად გადახდილი/დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ მოწმდება არარეზიდენტის მიერ მოთხოვნილი საქართველოს წყაროდან მიღებული შემოსავლის რეალობა, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებთან მიმართებაში.

3. „მოთხოვნის“ შესწავლის პროცესში საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია დაუკავშირდეს გადასახადის გადამხდელს ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

მუხლი 5. „მოთხოვნაზე“ უარის თქმის საფუძველი

„მოთხოვნაზე“ უარის თქმის საფუძვლებია, თუ:

ა) „მოთხოვნა“ წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) გასულია „მოთხოვნის“ წარდგენის ხანდაზმულობის ვადა;

გ) „მოთხოვნაზე“ არ არის დართული ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები;

დ) „მოთხოვნაში“ არ არის დასაბუთებული ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის წარმოშობის საფუძველი;

ე) გადამხდელს წარმოდგენილი არ აქვს ან/და არასწორად აქვს წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდის დეკლარაციები და ანგარიშგების ფორმები, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სავარაუდოდ დასარიცხად გამოანგარიშებული გადასახადის/სანქციის თანხა არ ამცირებს სალდირებული ზედმეტობის მაჩვენებელს „მოთხოვნა'-ში მითითებული დასაბრუნებელი თანხის ფარგლებში;

ვ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღგ-ის გადამხდელმა მოითხოვა ექსპორტზე გატანილი საქონლის ღირებულების 18%-ზე მეტი ოდენობით ზედმეტად გადახდილი თანხა;

ზ) მოთხოვნილი თანხის ოდენობა აღემატება დასკვნის შედგენის დღისთვის შედარების აქტის მიხედვით სალდირებულ ზედმეტად რიცხულ თანხას.

თ) გადამხდელმა მოითხოვა დეკლარაციის წარდგენის გადავადება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად (გადავადების პერიოდში გადავადებული საგადასახადო დეკლარაციის წარმოდგენამდე);

ი) „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ წარმოდგენამდე გადამხდელის მიმართ გაგზავნილია შეტყობინება საგადასახადო შემოწმების შესახებ ან/და დანიშნულია/მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კ) გადამხდელის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი საგადასახადო ორგანოა) ან/და გადამხდელი იმყოფება რესტრუქტურიზაციის რეჟიმში;

ლ) გადავადებულია მომავალ საგადასახადო პერიოდში/პერიოდებში დასადეკლარირებელი საგადასახადო ვალდებულების შესრულება (გადავადებული გადასახადის თანხის გათვალისწინებით).

მუხლი 6. „მოთხოვნაზე“ დასკვნის მომზადების პირობები

1. მე-4 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ საგადასახადო ორგანო „მოთხოვნის“ რეგისტრაციის მომდევნო დღიდან არაუგვიანეს მე-10 კალენდარული დღისა ამზადებს დასკვნას „მოთხოვნის“ სისწორეზე ან შესაგებელს (დანართი N1) „მოთხოვნაზე“, რომელიც უნდა დამტკიცდეს საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ. მიღებული გადაწყვეტილება („მოთხოვნის“ დაკმაყოფილების შესახებ ან შესაგებელი) გადამხდელს ეგზავნება „მოთხოვნის“ რეგისტრაციის მომდევნო დღიდან არაუგვიანეს მე-11 კალენდარული დღისა. აღნიშნული პროცედურა არ ვრცელდება საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტი პირის მიერ ფორმა N2-ის წარმოდგენის შემთხვევაში.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ცალკეული გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი „მოთხოვნის“ მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის პირობებში უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო ამზადებს დასკვნის პროექტს, რომელიც უნდა დამტკიცდეს „მოთხოვნის“ რეგისტრაციის მომდევნო დღიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო განახორციელებს მე-4 მუხლით განსაზღვრულ პროცედურებს.

მუხლი 7. საგადასახადო დავალების გამოწერის პირობები და მისი წარდგენის წესი

1. საგადახდო დავალება გამოიწერება მხოლოდ „მოთხოვნაში“ აღნიშნულ თანხაზე, მაგრამ არაუმეტეს საგადახდო დავალების გამოწერის დღისათვის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე (გარდა მოსაკრებლ(ებ)ის და ადმინისტრაციული ჯარიმის პირადი აღრიცხვის ბარათისა) რიცხული გასალდოებული ზედმეტობისა, გარდა საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტი პირის მიერ ფორმა N2-ის წარმოდგენის შემთხვევისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ „მოთხოვნაში“ აღნიშნული თანხა აღემატება საგადახდო დავალების გამოწერის დღისთვის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე (გარდა მოსაკრებლ(ებ)ის პირადი აღრიცხვის ბარათისა) რიცხული გასალდოებული ზედმეტობის მაჩვენებელს, საგადახდო დავალება გამოიწერება სალდირებული ზედმეტობის ფარგლებში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. „მოთხოვნის“ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე საგადახდო დავალებას ამზადებს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო და ხელს აწერს შესაბამისი უფლებამოსილი პირები. ხელმოწერილი საგადახდო დავალება „მოთხოვნა“- სთან ერთად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს.

4. ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნება და საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტისათვის საქართველოში ზედმეტად გადახდილი/დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

5. ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის თანხის დაბრუნების მიზნით საგადახდო დავალების და შესაბამისი დოკუმენტაციის სახაზინო სამსახურში წარსადგენად მომზადება ხდება „მოთხოვნის“ წარდგენიდან არაუგვიანეს 11 კალენდარული დღის ვადაში.

6. საქართველოს წყაროდან შემოსავლის მიმღები არარეზიდენტი პირისთვის თანხის დაბრუნება განხორციელდება არარეზიდენტის მიერ ფორმა N2-ში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

მუხლი 8. ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის ავტომატური დაბრუნება

1. გადასახადის გადამხდელის მიერ მოთხოვნის ელექტრონულად წარმოდგენის შემთხვევაში, წარმოდგენილი მოთხოვნა ფასდება შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული რისკის კრიტერიუმებით, მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი მოთხოვნა აკმაყოფილებს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნება ხორციელდება ავტომატურად, მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ არ ხორციელდება მოთხოვნაზე დასართავი დოკუმენტაციის სისრულის შემოწმება;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ არ ხორციელდება მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურები;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ არ ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შედგენა;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს ეგზავნება მხოლოდ საგადახდო დავალება.

4. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი მოთხოვნა არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მოთხოვნის განხილვა და ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნება ხორციელდება ჩვეულებრივი წესით ამ მუხლით განსაზღვრული პირობების გაუთვალისწინებლად.

დანართი N1

——————————————————— (ს/ნ .....)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

მისამართი: ——————————————————

შესაგებელი

(გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე)

——————————————————შემოსავლების სამსახურმა განიხილა თქვენი 20 —-- წლის ---------- „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ (შემოსვლის თარიღი და N----) რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ სახეზეა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20--წლის -- ---- ---------- N------ ბრძანებით დამტკიცებული „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხის“ მე——— მუხლის მე——— პუნქტის ——— ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი. კერძოდ:----------
---

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აღნიშნულიდან გამომდინარე, ---------- შემოსავლების სამსახურმა გადაწყვიტა გადასახადის გადამხდელს „მოთხოვნის“ დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი. შესაგებელი შეიძლება გასაჩივრდეს შესაგებლის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით.

შესაგებლისათვის დართულ მტკიცებულებათა ჩამონათვალი:

1. ---------- ;

2. ---------- ;

3. ---------- ;

დანართი: ----- ფურცლად.

შემოსავლების სამსახურის

სტრუქტურული ერთეულის

უფროსი/მოადგილე _____

შემსრულებელი _____

20 _____ წლის _____ _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №10156

2018 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი

„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითების 22- ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^1 მუხლი:

„მუხლი 22^1. ბარათებისა და აღრიცხვის ფორმების წარმოება გადასახადის გადამხდელის დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად“ მიჩნევისას

1. გადასახადის გადამხდელის დავალიანება „დროებით ამოუღებად დავალიანებად“ მიიჩნევა, თუ აკმაყოფილებს „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 38^1 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

2. საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ბრძანება არის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე შესაბამისი ოპერაციის წარმოების საფუძველი.

4. ბრძანება გამოიცემა ელექტრონულად და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერისთანავე ავტომატურად გენერირდება გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურით არ იცვლება გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესი.

6. საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“ არ წარმოადგენს დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების საფუძველს.

7. საგადასახადო ორგანოს მიერ დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება გამოიცემა ელექტრონულად და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერისთანავე ავტომატურად გენერირდება გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №10174

2018 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა) პირველი მუხლის 12^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 12^4 პუნქტი:

„12^4. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განმახორციელებელი, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას საბაჟო გამშვებ პუნქტში არ წარადგენს შესაბამის ნებართვას/ავტორიზაციას, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი გადასცემს „შეტყობინებას ნაკლოვანების აღმოფხვრის ვალდებულებაზე“ (დანართი №I–05) და განუსაზღვრავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის ან შემოსვლის ქვეყანაში უკან დაბრუნების) 6 სამუშაო დღის ვადას;

ბ) ორმხრივი ან/და მესამე ქვეყანაში/ქვეყნიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განხორციელებისას, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასვლისას, საბაჟო გამშვებ პუნქტში არ წარადგენს შესაბამის ნებართვას/ავტორიზაციას, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი გადასცემს „შეტყობინებას ნაკლოვანების აღმოფხვრის ვალდებულებაზე“ (დანართი №I–05) და განუსაზღვრავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის) 3 სამუშაო დღის ვადას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) ტრანზიტული საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვისას ახორციელებს თავდაპირველი ნებართვით/ავტორიზაციით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვას და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასვლისას საბაჟო გამშვებ პუნქტში ან/და გაფორმების ორგანოში არ წარადგენს შესაბამის ნებართვას/ავტორიზაციას, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი გადასცემს „შეტყობინებას ნაკლოვანების აღმოფხვრის ვალდებულებაზე“ (დანართი №I–05) და განუსაზღვრავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის) 3 სამუშაო დღის ვადას.“;

ბ) დანართი №I–04-ის შემდეგ დაემატოს დანართი №I–05 თანდართული რედაქციით;

გ) მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. დათვალიერებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დახმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა-დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გახსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, საცავების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები);

ბ) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან;

გ) ამ ბრძანებით დადგენილი წესით, საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა და/ან გამოიყენოს დათვალიერების უფრო დეტალური ფორმა;

დ) კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები;

ე) აიღოს საქონლის სინჯი და/ან ნიმუში.

5. დათვალიერებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია:

ა) არ მიაყენოს არამართლზომიერი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს;

ბ) დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები;

გ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირებისას:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ა) სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი დადგენილი წესით ასახოს მოწმობის ელექტრონულ ბაზაში, ხოლო როცა მოწმობა არ ივსება – შეინახოს დოკუმენტების შენახვისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადით;

გ.ბ) თუ სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი შეიცავს მონაცემებს სამართალდარღვევის ნიშნების თაობაზე, რეაგირებისთვის გადასცეს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

დ) განახორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დასათვალიერებელი ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით;

ე) სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს საბაჟო დეკლარაციის ინსპექტირების აქტში ან დათვალიერების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი;

ვ) დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დათვალიერების აქტში. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილია დეკლარაციის შემოწმებისას – აგრეთვე ინსპექტირების აქტში.";

ე) 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 11 პუნქტი:

„11. საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების ფაქტი უნდა აისახოს „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტშიც", ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ საქონლის რომელი შეკვრიდან (ყუთი, ფუთა და სხვ.) და რა რაოდენობით განხორციელდა სინჯის ან/და ნიმუშის აღება.";

ვ) 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. დათვალიერების აქტი

1. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შედეგები ფორმდება „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტით" (დანართი №III–011), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა) დათვალიერება ხორციელდება სკანერის მეშვეობით;

ბ) დათვალიერების შედეგად სამართალდარღვევის ნიშნები არ იქნა გამოვლენილი;

გ) დათვალიერების შედეგები აისახება საბაჟო დეკლარაციის ინსპექტირების აქტში (გარდა დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევისა) ან „თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების აქტში".

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მხოლოდ სკანირების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დათვალიერების აქტის ან/და სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

3. „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტს“ ადგენს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს დათვალიერებაში.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც დათვალიერებას ესწრებიან ამ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები, აღნიშნულის თაობაზე მიეთითება „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტში“, ისინიც აწერენ ხელს და შესაბამისად გადაეცემათ აქტის თითო ეგზემპლარი (ასლი).

5. აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების შედეგები ფორმდება „თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების აქტით“ (დანართი №III–01).“;

ზ) 24-ე მუხლის:

ზ.ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. დამალული საქონლის მგზავრის მიერ ნებაყოფლობით გადაცემის ან/და დათვალიერების შედეგად ასეთი საქონლის აღმოჩენის შესახებ დგება „მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი“ (დანართი №III–02) და სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.“;

ზ.ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. „მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი“ დგება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე გადაეცემა მგზავრს. თუ დათვალიერებას ესწრებიან სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ოქმში შეიტანება მათი მონაცემებიც, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით და გადაეცემათ ოქმის ასლი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ოქმის ასლი საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებთან და ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.“;

თ) 25-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, არსებული ნივთმტკიცებულებები უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და დათვალიერების შედეგები გაფორმდეს „მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმით“ (დანართი №III–02) ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე გადაეცემა მგზავრს. აღნიშნული ოქმის ასლი აღმოჩენილ ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) დანართი №III–01-ის შემდეგ დაემატოს დანართი №III–011 თანდართული რედაქციით;

კ) დანართი №III–02 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ლ) დანართი №III–03 ამოღებულ იქნეს;

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გ. თაბუაშვილი

დანართი №I–05

შემოსავლების სამსახური

თარიღი:_____

საბაჟო დეპარტამენტის

_____

(სტრუქტურული ერთეული)

შეტყობინება
ნაკლოვანების აღმოფხვრის ვალდებულებაზე

_____

(პირის გვარი, სახელი)

_____

(საიდენტიფიკაციო/პირადი/პასპორტის №)

_____

(მისამართი)

თქვენ მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოყვანილი/ტერიტორიიდან გასაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ———— საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განხორციელებისას არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ნებართვა/ავტორიზაცია ————————, რომლის წარმოდგენის მიზნით გეძლევათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის/შემოსვლის ქვეყანაში უკან დაბრუნების) ———— სამუშაო დღის ვადა 20 — წლის ———— ჩათვლით.

განსაზღვრულ ვადაში ნაკლოვანებათა აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალება დაექვემდებარება შემოსვლის ქვეყანაში უკან დაბრუნებას.

ჩავაბარე:

_____

(უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

ჩავიბარე:

_____

(ხელმოწერა)

შენიშვნა:

_____

_____

_____

_____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №III–01[1]

საქონლის ან/და სატრასპორტო საშუალების
დათვალიერების აქტი №

_____ _____ _____
დათვალიერების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დათვალიერების ადგილი

1. დათვალიერების ობიექტი _____

2. დათვალიერება განახორციელა: _____
_____
(სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის დასახელება, თანამშრომლის თანამდებობა, სახელი და გვარი)

3. დათვალიერებას ესწრებოდნენ: _____
_____
(თანამდებობა, სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო/პირადი/პასპორტის №)

4. დათვალიერების პროცედურა მიმდინარეობდა — სთ — წთ-დან, — სთ — წთ-მდე.
5. დათვალიერების შედეგები: _____
_____
_____
_____

6. აღებულია სინჯი/ნიმუში: _____

7. გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალება: _____
_____ დაილუქა _____
ლუქით და განთავსდა/გაიგზავნა/ინახება: _____

8. აქტის შემდგენი პირის/პირების ხელმოწერა: _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
_____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

9. დამსწრე პირის/პირების ხელმოწერა: _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
_____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

10. დეკლარანტის ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის ან მათი წარმომადგენლის ხელმოწერა: _____
ხელმოწერა, ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა, თუ ვინაობა დაუდგენელია, კეთდება შესაბამისი აღნიშვნა

11. შენიშვნები: _____
_____
_____
_____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №III–02

მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის
დათვალიერების ოქმი №

_____ _____
დათვალიერების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) ოქმის შედგენის ადგილი

1. დათვალიერება ჩაუტარდა _____

2. დათვალიერება განახორციელა: _____
_____
(სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის დასახელება, თანამშრომლის თანამდებობა, სახელი და გვარი)

3. დათვალიერებას ესწრებოდნენ: _____
_____
(თანამდებობა, სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო/პირადი/პასპორტის №)

4. ფიზიკურ პირს ეცნობა მისი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება, განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები და მიეცა წინადადება დამალული საქონლის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე ☐

5. დათვალიერების პროცედურა მიმდინარეობდა — სთ — წთ-დან, — სთ — წთ-მდე.

6. დათვალიერების მიზნით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: _____
_____
_____
_____

7. დათვალიერების ჩატარების პირობები: _____
_____
_____

8. აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები: _____
_____
(საგნების სახეობა, რაოდენობა, ინდივიდუალური დაგვარეობითი ნიშნები და სხვა მახასიათებლები)

9. დათვალიერების შემდეგ აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები დალუქულ იქნა № _____
ლუქით და განთავსდა/გაიგზავნა _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10. წინამდებარე ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

დათვალიერების ჩამტარებელი პირი/პირები: _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
_____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

დათვალიერებაზე დამსწრე პირი/პირები: _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
_____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

მოწვეული სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში): _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

მოწმეები (არსებობის შემთხვევაში): _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)
_____ _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

11. ჩამიტარდა დათვალიერების პროცედურა, რის შემდეგაც გავეცანი წინამდებარე ოქმს და მივიღე ოქმის მეორე ეგზემპლარი, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით _____

12. შენიშვნები: _____
_____
_____
_____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

ფულადი გზავნილები აპრილში

15.05.2018

2018 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 123.9 მლნ აშშ დოლარი, 300.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 17.1 პროცენტით (18.1 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.74 პროცენტი იმ 15 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აპრილში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 15 ქვეყანაზე გასული წლის აპრილში მთელი ფულადი გზავნილების 92.68 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა აპრილი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		აპრილი, 2017	აპრილი, 2018
სულ	123.9	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	43.6	29.7	35.2
მათ შორის:			
საბერძნეთი	14.9	10.4	12.0
იტალია	14.5	9.6	11.7
ესპანეთი	3.4	2.7	2.7
გერმანია	3.3	2.4	2.7
საფრანგეთი	1.5	1.0	1.2
გაერთიანებული სამეფო	1.3	1.1	1.0
დანარჩენი ქვეყნები, სულ	80.3	70.3	64.8
მათ შორის:			
რუსეთი	35.3	33.4	28.5
აშშ	12.7	10.5	10.2
ისრაელი	11.8	8.5	9.5
თურქეთი	9.3	8.1	7.5
უკრაინა	2.2	1.9	1.8
აზერბაიჯანი	1.5	1.3	1.2
ყაზახეთი	1.1	1.0	0.9
პოლონეთი	1.0	0.1	0.8
კანადა	1.0	0.8	0.8

2018 წლის აპრილში საქართველოდან საზღვარგარეთ 18.5 მლნ აშშ დოლარი (44.9 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15.5 მლნ აშშ დოლარისა (37.6 მლნ ლარისა) გასული წლის აპრილში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

08.05.2018

2018 წლის 8 მაისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 60 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.350 პროცენტით, მაქსიმალური 7.470 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.395 პროცენტითგანისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.625 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

08.05.2018

2018 წლის 8 მაისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 42 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.270 პროცენტით, მაქსიმალური 7.300 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.277 პროცენტითგანისაზღვრა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

დაუდეკლარირებელი მოგების გადასახადის ჩათვლა 2652

- *სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2017 წლის 12 დეკემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„დაუდეკლარირებელი მოგების გადასახადის ჩათვლა“ №2652

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადასახადის გადამხდელს წარმოდგენილი აქვს ნულოვანი დეკლარაციები, საგადასახადო შემოწმებით კი იმავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაერიცხა კუთვნილი მოგების გადასახადი.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 2016 წელს რეგისტრირებულ კომპანიას, 2016 წლის წლიური და 2017 წლის ყოველთვიური მოგების გადასახადის დეკლარაციები წარმოდგენილი აქვს ნულოვანი ფორმით. ამასთან, 2016 წლის ფინანსური მოგება კომპანიას განაწილებული აქვს დამფუძნებელზე დივიდენდის სახით 2017 წლის იანვარ-აპრილის თვეებში და აღნიშნული დაბეგრილი და დეკლარირებული აქვს გადახდის წყაროსთან.

საწარმოს სააღრიცხვო მონაცემებით, აგრეთვე შემოწმებით დადგენილია, კომპანიას განაწილებული აქვს 2016 წლის ფინანსური მოგება, ხოლო შემოწმებით 2016 წლის საანგარიშო პერიოდზე ეკისრება 80 000 ლარის მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება. ამასთან, შემოწმებით საწარმოს სხვა საგადასახადო ვალდებულება არ დაკისრებია. საწარმოს პირადი აღრიცხვის ბარათზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უფიქსირდება ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხა 80 000 ლარის ოდენობით.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

სსკ-ის 309-ე მუხლის 92-ე ნაწილის მიხედვით, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სსკ-ის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანო გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილ თანხას შემდგომ დარიცხული და აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიმართავს.

ზემოაღნიშნული საგადასახადო ნორმების გათვალისწინებით, საწარმოს მიერ 2017 წლის იანვარ-აპრილის თვეებში 2016 წლის წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული ზედმეტობა შესაძლებელია ჩაითვალოს 2016 წლის კუთვნილი მოგების გადასახადის გადახდად და განხილულ იქნეს 2017 წლის იანვარ-აპრილის თვეებში გაცემულ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის თანხებში ჩათვლის მიღების საფუძვლად სსკ-ის 309-ე მუხლის 92-ე ნაწილით დადგენილი წესით.

შეფასებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელს დაერიცხება 2016 წლის მოგების გადასახადი და 2017 წლის იანვარ-აპრილის თვეებში განაწილებულ დივიდენდზე კუთვნილი მოგების გადასახადი, ჩასათვლელი მოგების გადასახადის გათვალისწინებით. დეკლარაციებში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში, გადამხდელს დაეკისრება ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ შემოწირულების გაცემა 2653

- *სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება იმ საწარმოების მიმართ, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ შემოწირულების გაცემა“ №2653

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ ორგანიზაციებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი, შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოს რეზიდენტი საწარმო ახორციელებს ორგანიზაციებზე შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემას (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით). შემოწირულება (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ მოგების გადასახადით არ დაბეგრა საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რამდენადაც გაცემული ფულადი თანხები არ აღემატებოდა მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. სსკ-ის 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ ფულადი სახსრების გადაცემა იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ შემოწირულება გაცემულია საქველმოქმედო ორგანიზაციაზე და ამასთან, გაცემული ფულადი თანხები არ აღემატება მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს, საწარმოს არ წარმოეშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com